შენიშვნების ფურცელი

საქართველოს კანონის პროექტზე „ამნისტიის შესახებ“
(N07-2/316; 13.09.2023)

№	ავტორი	შენიშვნა	გათვალისწინების მდგომარეობა
1	**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**	მინზაშეწონილია კანონპროექტის პირველი და მე-2 მუხლები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „**მუხლი 1** 1. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების დანაშაულებრივი გზით მოპოვების შემთხვევებზე. 2. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალდებული, თუ მან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ან/და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება 2023 წლის 1 სექტემბრამდე მოიპოვა და ამ დანაშაულის/დანაშაულების ჩადენის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდა, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილე, თუ	**გაზიარებულია.**

		სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდა. 3. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ბრალდებული, თუ მან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ან/და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა 2023 წლის 1 სექტემბრამდე ჩაიდინა და აღიარებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ჩადენას, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ჩადენაში თანამონაწილე, თუ ეს თანამონაწილე აღიარებს ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში თანამონაწილეობას. 4. გათავისუფლდეს სასჯელისაგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისაგან, პირობითი მსჯავრისაგან მსჯავრდებული, თუ მან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ან/და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება 2023 წლის 1 სექტემბრამდე მოიპოვა და ამ დანაშაულის/დანაშაულების ჩადენის შედეგად სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდა, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის თანამონაწილე, თუ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდა. 5. გათავისუფლდეს სასჯელისაგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისაგან, პირობითი მსჯავრისაგან მსჯავრდებული, თუ ის	

		მსჯავრდებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვების მიზნით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით ან/და 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადების ან მცდელობის 2023 წლის 1 სექტემბრამდე ჩადენის გამო და აღიარებს დანაშაულის მომზადების ან მცდელობის ჩადენას, აგრეთვე სასჯელისაგან, მათ შორის, აღუსრულებელი ჯარიმისაგან, პირობითი მსჯავრისაგან გათავისუფლდეს ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში თანამონაწილე, თუ ეს თანამონაწილე აღიარებს ამ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადებაში ან მცდელობაში თანამონაწილეობას. **მუხლი 2** პირი, რომლის მიმართაც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, ნასამართლობის არმქონედ ითვლება.“.	
2	**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**	მინზაშეწონილია კანონპროექტის მე-3 და მე-4 მუხლები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „**მუხლი 3** 1. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება მოხელეზე, სახელმწიფო საწარმოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ თანამშრომელზე, რომელმაც ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა.	**გაზიარებულია.**

		2. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენის შემთხვევაზე. 3. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება პირზე, რომელმაც ამ კანონით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება 2023 წლის 31 აგვისტოს შემდეგ გაასხვისა. 4. ამ კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შეფარდებული ჯარიმა და ქონების ჩამორთმევა, რომელიც ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის აღსრულებულია, მსჯავრდებულს არ დაუბრუნდება. **მუხლი 4** 1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს იმავე პუნქტით განსაზღვრული ბრალდებულის მიერ შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან თავისუფალ მდგომარეობაში (მათ შორის, იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში) სახელმწიფოს სასარგებლოდ 2024 წლის 1 სექტემბრამდე მიტოვებას, ხოლო თუ ეს შეუძლებელია - იმავე პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი რომელიმე პირის, კერძოდ, ბრალდებულის ან თანამონაწილის მიერ შესაბამისი მიწის ნაკვეთის ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2024 წლის 1 სექტემბრამდე გადახდას. 2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს იმას, რომ მსჯავრდებულს სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა შესაბამისი მიწის ნაკვეთი, ხოლო თუ ჩამორთმევა შეუძლებელი იყო, აღნიშნული გულისხმობს იმას რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის	

		ჩამდენმა რომელიმე პირმა, კერძოდ, მსჯავრდებულმა ან თანამონაწილემ, შესაბამისი მიწის ნაკვეთის ღირებულება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 2024 წლის 1 სექტემბრამდე გადაიხადა. 3. ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისებისას, ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარჩენილ ნაწილზე საკუთრების უფლების ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან თავისუფალ მდგომარეობაში (მათ შორის, იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში) სახელმწიფოს სასარგებლოდ ბრლადებულის მიერ მიტოვებას და იმავე მიწის ნაკვეთის გასხვისებული ნაწილის ღირებულების ბრალდებულის ან თანამონაწილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას. 4. ამ კანონით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისებისას, ამ კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურება გულისხმობს შესაბამის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დარჩენილი ნაწილის მსჯავრდებულისთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევას და იმავე მიწის ნაკვეთის გასხვისებული ნაწილის ღირებულების მსჯავრდებულის ან თანამონაწილის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდას. 5. ამ კანონით გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის ღირებულება განისაზღვრება ექსპერტიზის დასკვნით, დანაშაულის ჩადენის დროისათვის არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.“.	
3	**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**	მინზაშეწონილია კანონპროექტის მე-5 და მე-6 მუხლები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს:	**გაზიარებულია.**

		„მუხლი 5 1. პირმა (მათ შორის ძებნილმა პირმა), რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, ამ კანონით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან, მათ შორის იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების მიზნით, შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 2. თუ ამ კანონით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვება შეუძლებელია, პირმა (მათ შორის ძებნილმა პირმა), რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის ღირებულების სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შეტანა უნდა განახორციელოს სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე. 3. ამ კანონით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება ან/და სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე თანხის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი: ა) პირმა, მათ შორის, ძებნილმა პირმა, რომლის მიმართ ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, გამოძიების ეტაპზე უნდა წარუდგინოს შესაბამის პროკურორს; ბ) პირმა, მათ შორის, ძებნილმა პირმა, რომლის მიმართ ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, სისხლის სამართლის საქმის	

		სასამართლო განხილვის ეტაპზე უნდა წარუდგინოს შესაბამის სასამართლოს; გ) პირმა, რომლის მიმართ ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია და რომლის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება დასრულებულია, უნდა წარუდგინოს თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომელიც ამ პირის მიმართ წარმოებულ საქმის მასალებს გამოითხოვს ამ კანონით დადგენილი წესით; დ) პირმა, რომელიც ძებნილია და რომლის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება დასრულებულია ან რომლის მიმართ გამოტანილი განაჩენი სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში არ გასაჩივრებულა, უნდა წარუდგინოს შესაბამის პროკურორს, რომელიც ამ პირზე ამნისტიის გავრცელების მიზნით ამ კანონით დადგენილი წესით მიმართავს თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს; 4. გამოძიების სტადიაზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ადევს ყადაღა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემდგომ, პროკურორი პირის (მათ შორის ძებნილი პირის), რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე. ეს შუამდგომლობა სასამართლოს წარედგინება გამოძიების ადგილის მიხედვით, რომელიც შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს შუამდგომლობის	

		წარდგენიდან 24 საათში. ამ შუამდგომლობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისა და ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირის მიმართ, მათ შორის, ძებნილი პირის მიმართ, ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი პროკურორი ამ კანონის შესაბამისად. 5. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვის სტადიაზე, თუ ამ კანონით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთს მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ადევს ყადაღა, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენის შემდგომ, სასამართლო პირის (მათ შორის ძებნილი პირის), რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საკუთრების უფლების სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების მიზნით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე დადებული ყადაღის გაუქმების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებისა და ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი პირის მიმართ, მათ შორის, ძებნილი პირის მიმართ, ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სასამართლო ამ კანონის შესაბამისად. **მუხლი 6** 1. გამოძიების სტადიაზე, ამ კანონით გათვალისწინებული პირის, მათ შორის, ძებნილი პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი პროკურორი. 2. სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ განხილვის სტადიაზე ამ კანონით გათვალისწინებული პირის, მათ შორის, ძებნილი პირის მიმართ	

		ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სასამართლო. 3. თუ სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოება დასრულებულია, ამ კანონით გათვალისწინებული პირის, მათ შორის, ძებნილი პირის მიმართ ამნისტიის გავრცელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო. 4. ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიის გავრცელების მიზნით გადაწყვეტილებას იღებს: ა) სააპელაციო სასამართლო, თუ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით; ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლო, თუ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი გასაჩივრებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-300 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით. გ) თავდაპირველი განაჩენის გამომტანი რაიონული (საქალაქო) სასამართლო, თუ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 292-ე მუხლის მე-3 ნაწილით ან მე-300 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა. 5. ამ მუხლის პირველი-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღები პროკურორის ან მოსამართლის (სასამართლოს) მიერ ეგზავნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. 6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ძებნილი მსჯავრდებულის მიმართ ამნისტიის გავრცელების შემთხვევისა) თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს:	

		ა) ამ კანონის ამოქმედებიდან 3 კვირის ვადაში მსჯავრდებულის პირად საქმეს შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება უგზავნის იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში იხდის და სასჯელის ერთ-ერთ სახედ ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა აქვს შეფარდებული; ბ) ამ კანონის ამოქმედებიდან 3 კვირის ვადაში მსჯავრდებულის პირად საქმეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო უგზავნის იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულს არასაპატიმრო სასჯელთან ერთად ან პრობაციის რეჟიმში ყოფნასთან ერთად სასჯელის ერთ-ერთ სახედ ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა აქვს შეფარდებული; 7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხის შეტანის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ საქალაქო სასამართლოში წარდგენის შემდეგ ამავე სასამართლოს მოთხოვნით მსჯავრდებულის პირად საქმეს მოთხოვნიდან 3 კვირის ვადაში უგზავნის: ა) შესაბამისი პენიტენციური დაწესებულება, სადაც სასჯელს იხდის მსჯავრდებული; ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო, თუ მსჯავრდებულს არასაპატიმრო სასჯელი აქვს შეფარდებული ან პრობაციის რეჟიმში იმყოფება.	

		8. ამ მუხლის მე-3 პუნქტით ან მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ძებნილ მსჯავრდებულზე ამნისტიის გავრცელების მიზნით თავდაპირველი განაჩენის გამომტან რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს წერილობით მიმართავს საქართველოს პროკურატურა. 9. სასამართლო უფლებამოსილია ამ მუხლით გათვალისწინებული საკითხი განიხილოს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე.“.	
4	**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი**	მინზაშეწონილია კანონპროექტის მე-7-მე-11 მუხლები შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდეს: „**მუხლი 7** იმ პირს, რომელზეც გავრცელდა ამნისტია, უფლება აქვს, მის მიმართ ამ კანონის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთჯერადად, აღნიშნული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან 2 კვირის ვადაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში. სასამართლო საჩივარს განიხილავს მისი დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტის გარეშე, საჩივრის წარდგენიდან 10 დღის ვადაში. სასამართლო უფლებამოსილია, საჩივარი განიხილოს ზეპირი მოსმენით ან ზეპირი მოსმენის გარეშე. **მუხლი 8** პირს, რომელზეც ვრცელდება ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია, უფლება აქვს, ისარგებლოს თავისი სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი სასამართლოს მიერ განხილვის უფლებით. **მუხლი 9**	**გაზიარებულია.**

		1. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტიისადმი დაქვემდებარებული დანაშაულის ჩადენისათვის პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ამ კანონის ამოქმედების შემდეგ დაწყების შემთხვევაში, ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთზე საკურების უფლების ყოველგვარი უფლებრივი ტვირთისგან თავისუფალ მდგომარეობაში (მათ შორის, იპოთეკის/გირავნობის უფლებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში) სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვების ვადის, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ღირებულის გადახდის ვადის ათვლა დაიწყოს პირის ბრალდებულად ცნობის მომენტიდან და ამ ვადად განისაზღვროს არაუმეტეს 12 თვე. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირის მსჯავრდების შემთხვევაში, ამ პირის მიმართ ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია ვრცელდება, თუ მას სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთვა ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი, ხოლო თუ ეს შეუძლებელი იყო - ამ პირმა ამ კანონით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ღირებულება საბოლოო განაჩენის გამოტანიდან 12 თვეში გადაიხადა. **მუხლი 10** 1. ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია აღსრულდეს 2025 წლის 1 იანვრამდე. 2. ამ კანონის მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში ამნისტია აღსრულდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის წარმოშობიდან 4 თვის ვადაში. **მუხლი 11** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.“.	